სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში გაიხარჯა 743,0 ათ. ლარი. აქედან 644,4 ათ. ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 98,6 ათ. ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მ.შ. მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 9,0 ათ. ლარი (განკ 2752, 31.12.2019), 5,02,2021 წლის განკ.#168 -ით დაფინანსდა ს. ვერხვიანში ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა - 24,9 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -15,7 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -9,2 ათ. ლარი); ს. ნინოწმინდაში ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა - 24,1 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -19,5 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -4,6 ათ. ლარი); ს. უდაბნოში ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა - 24,7 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -15,4 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -9,3 ათ. ლარი); ს.ვაშლიანში სასმელი წყლის მილის შეცვლის სამუშაოები - 9,8 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); გარე განათების მოწყობის სამუშაოები: ს.ზემო ლამბალოში, ს.მულანლოში, ს.ქეშალოში, ს.პატარძელში, ს.კახლარში, ს.თულარში, წიწმატიანში, პალდოში - 148,2 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -142,2 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -6,0 ათ. ლარი); ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა: ს.პატარა ჩაილურში, ს.ანთოკსა და მარიამჯვარში, ს.მზისგულში - 70,6 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -49,7 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -20,9 ათ. ლარი); სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება - 14,1 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); სოფელ მუხროვანში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის, ქვემო სამგორში სასმელი წყლის ავზის მოწყობის, კაკაბეთში სანიაღვრე არხის მოწყობის და გომბორში სასმელი წყლის მილის შეცვლის სამუშაოების შესყიდვა - 64,6 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -51,5 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -13,1 ათ. ლარი); სოფელ ოთარანში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების და სოფელ პალდოში სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები - 19,4 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); სოფლებში (ბადიაური, ყანდაურა, დიდი ჩაილური, მანავი, უჯარმა, ვერონა, სასადილო, გორანა, ქვემო ლამბალო, კოჭბანი, დუზაგრამა) გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 156,4 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -151,9 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -4,5 ათ. ლარი); სოფელ იკვლივ გორანაში კობათხეზე გაბიონის მოწყობის, სოფელ ზემო ყანდაურაში და სოფელ ზემო ბურდიანში ცხურების მოწყობის სამუშაოები - 29,4 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); სოფელ შიბლიანში სანიაღვრე არხის მოწყობისა და მოხრემვის სამუშაოები - 15,5 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); სოფელ რუსიანში სკვერის მოწყობის სამუშაოების - 8,1 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); ს.ხაშში ამბულატორიაში ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები - 17,5 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); ს.სათაფლეთში სკვერის მოწყობის სამუშაოები - 9,5 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); ს.თოხლიაურში სკვერის მოწყობის სამუშაოები - 27,1 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -15,4 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -11,7 ათ. ლარი); ს.გიორგიწმინდაში საჭიდაო მოედნის მოწყობის სამუშაოები - 38,5 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით -19,2 ათ. ლარი; ადგ. ბიუჯეტით -19,3 ათ. ლარი); ს.წყაროსთავის საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობის სამუშაოები - 13,0 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); სოფელ ბოტკოში სასმელი წყლის სათავის მოწყობის სამუშაოები - 9,8

ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით); ს.ასკილაურში გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 8,2 ათ. ლარი (სახ. ბიუჯეტით).

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულების %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1907.265	1531.155	80
03 01	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1358.111	1335.541	98
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	660.909	650.056	98
03 01 02	შპს სუფთა მუნიციპალიტეტი 2018	697.202	685.485	98
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	451.554	98.014	22
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	97.600	97.600	100

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 01
პროგრამის გამახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური, შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“
პროგრამის აღწერა და მიზანი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ორი ნაგავმზიდი მანქანის და 240 ცალი ნარჩენების კონტეინერის შექმნა. ხოლო შენახვის თხოვებით გადმოგვცა 500 ცალი ნაგვის ურნა, 2020 წელს მერიის მიერ შექმნილი იქნა დამატებით კიდევ 200 ურნა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 80მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავმზიდი. ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავმზიდი, ყოველდღიურად ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლიდან (ვერონა, რუსიანი, გომბორი, კოჭბანი, გორანა, სასადილო, ასკილაური, ოთარაანთკარი, პალდო, უჯარმა, მუხროვანი, ხაშმი, დიდი და პატარა ჩაილური, ვერხვიანი, კაკაბეთი, ყანდაურა, ბადიაური, მზისგული, შიბლიანი, მულალნო, დუზაგრამა, ლამბალო, ქეშალო, თულარი, კაზლარი).



		2021-2024 წლის ბიუჯეტში შ.პ.ს. "სუფთა მუნიციპალიტეტის" ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებული იქნება 2154820,00 ლარი, ასიგნებები მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, პერსონალის (მუშები, მძღოლები, დასუფთავების მოსაკრებლის ამკრეფები) ხელფასებს, ტექნიკის და ტრანსპორტის საწვავისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს. პროგრამის მიზანია დასუფთავებული მუნიციპალიტეტი.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქ.საგარეჯოს და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების დასუფთავების და ნარჩენების გატანის სამუშაოები		მიღწეული შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდა ქ.საგარეჯოს და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების დასუფთავების და ნარჩენების გატანის სამუშაოები
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა	არსებული მონაცემებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 80 მეტ.კუბი ნარჩენი	არსებული მოცულობით გაგრძელდება ყოველდღიურად 76 მეტ.კუბი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 70 მეტ.კუბი ნარჩენი	-8%
ყოველდღიურად ქუჩების დაგვა-დასუფთავება, წყალსადინარო არხების გაწმენდა ნატანისგან, ზამთრის პერიოდში საგარეჯოს ცენტრალური ქუჩების და ტროტუარების თოვლისგან გაწმენდა	39800 კვ.მეტრი ფართობი	არანაკლებ 39800 კვ.მეტრი ფართობისა	39800 კვ.მეტრი ფართობი	0

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	<b>კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში 03 03</b>
პროგრამის გამახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	საჭიროებიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებულია 2021 წელს 200 ცალი ნაგვის ურნის შესყიდვა. პროგრამის მიზანია მოწესრიგებული და სუფთა ქუჩები, კმაყოფილი მოსახლეობა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მოთხოვნის შესაბამისად განთავსებული სანაგვე ურნები; დროულად გატანილი ნაგავი; კმაყოფილი მოსახლეობა.		მიღწეული შედეგი	მოთხოვნის შესაბამისად განთავსებული სანაგვე ურნები; დროულად გატანილი ნაგავი; კმაყოფილი მოსახლეობა.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი	
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
სანაგვე ურნების რაოდენობა	200 ცალი	200 ცალი	200 ცალი	
კმაყოფილი მოსახლეობა	50%	60%		-10%

დასუფთავების და გარემოს დაცვის ხარჯმა შეადგინა სულ 1531,2 ათ. ლარი. აქედან: ქ. საგარეჯოს ქუჩების დასუფთავება და დაგვა, წყალსადინარი არხების გაწმენდის, ცენტრალური ქუჩებისა და ტროტუარების თოვლისგან/ყინულისაგან გაწმენდის მომსახურება 112,9 ათ. ლარი; სოფლებსა და ქ.საგარეჯოს ქუჩებში მუნიციპალიტეტის მიერ განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა 481,1 ათ. ლარის. ბადაიურში ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიის შესაწამლად შხამქიმიკატის 20 კგ. კლინერ ექსტრას შესყიდვა 0,4 ათ. ლარისა და საავტომობილო გზებისთვის ტექნიკური მარილის შესყიდვა; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 98,0 ათ. ლარისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის (მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე) ელექტროგაყვანილობის, გარე განათებისა და სკვერის შემოღობვის სამუშაოები 6,2 ათ. ლარი. ქალაქ საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობა განკ. #1419 16.08.2021 91,9 ათ. ლარი; 200 ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერების სახელმწიფო შესყიდვა - 92,0 ათ. ლარი.

შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის დაფინანსებამ 2021 წელს შეადგინა 685,5 ათ. ლარი. მ.შ. ხარჯმა წინა წლის ნაშთის ჩათვლით ხარჯმა შეადგინა შრომის ანაზღაურების 451,4 ათ. ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 243,5 ათ. ლარი, აქედან ტრანსპორტის მოვლა-შენახვასა და საწვავზე გაიხარჯა 235,5 ათ. ლარი. წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგად დადგა მოსალოდნელი შედეგი - მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდა ქ.საგარეჯოს და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების დასუფთავების და ნარჩენების გატანის სამუშაოები.

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც

თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულების %
04 00	განათლება	5361.912	3848.885	72
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2485.300	2360.597	95
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1974.407	741.162	38
04 03	სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება	118.725	116.734	98
04 03 01	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე დაწესებულებების გაერთიანება“	118.725	116.734	98
04 03 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	6.500	6.460	99
04 04	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა	783.480	630.392	80

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება 04 01
პროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანება
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავ კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და 2 ალტერნატიული ჯგუფი სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1335-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯამში დასაქმებულია 345 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავშვებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული</p>

		<p>და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		<p>საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1335-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს</p>	მიღწეული შედეგი	<p>საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1335-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს</p>
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)

<p>ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის დაცულობა</p>	<p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის II და III ნაწილილები. აქედან: II ნაწილი განსაზღვრავს 2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს; III ნაწილი განსაზღვრავს 3-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს და 5-6 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი.</p>	<p>საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები უკეთესადაა დანერგილი მუნიციპალურ ბაგა-მდეზში. კერძოდ, სტანდარტის II და III ნაწილებით განსაზღვრულ კონტენტზე ბავშვების განვითარებასთან (აღზრდა-განათლების) ერთად მეტი ყურადღება ეთმობა თემატურ მიმართულებებზე მუშაობას, მათ შორის: ხელოვნებას, წიგნიერებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.</p>	<p>მაჩვენებელი მიღწეულია</p>		<p>პანდემიის გამო შეჩერებული იყო ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესი, რამაც გამოიწვია დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულება ნაწილობრივ</p>
	<p>კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების დაცულობა</p>	<p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებისათვის განკუთვნილი კვებითი ღირებულების ნორმები სრულყოფილად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილების მოთხოვნებს კვების რეჟიმით განსაზღვრულ ყველა პირობასთან მიმართებაში. კერძოდ, ყოველდღიურად 3 ძირითადი (საუზმე,</p>	<p>გაუმჯობესებულ ია კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი დადგენილი ნორმების შესრულება. იმ დაწესებულებებში სადაც მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე აუცილებელია 3 ძირითადი (საუზმე, სადილი, ვახშამი) კვება, ხშირ შემთხვევებში ბავშვების ასევე აქვთ ნორმებით განსაზღვრული წახემსება. მეტი ყურადღება ექცევა კვების ორგანიზების</p>		

		სადილი, ვახშამი) კვებასთან ერთად 1 წახემსებას (პირველი წახემსება საუზმესა და სადილს შორის (დილის)	ჰიგიენური ნორმების დაცვას, მათ შორის: კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს		
	პროგრამის ხარისხის სტანდარტის დაცულობა	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ნაწილობრივ დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ხარისხის სტანდარტი. კერძოდ, უსაფრთხოება და დაცულობა, კურიკულიუმი და მეთოდოლოგია, ფიზიკური გარემო, ურთიერთობა, საგანმანათლებლო პროცესი, ოჯახისა და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.	საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ბავშვის პროგრამის ხარისხის სტანდარტი უკეთესადაა დანერგილი მუნიციპალურ ბაგა-მაღებში. კერძოდ, ფიზიკური გარემო შექმნილია ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. მკაფიოდაა გაწერილი პროცედურები თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მედიკამენტების საჭიროების თუ სხვა შემთხვევებში. ბაგა-ზაღებს გააჩნია ინფექციური დაავადებების გავრცელების აღკვეთი მექანიზმები. უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმები. თითოეულ ბავშვს აქვს დასვენებისა და ძილის დაკმაყოფილების გარემო არის უსაფრთხო, კომფორტული,		

			ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი ყველასთვის.		
--	--	--	---	--	--

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, შშენებლობა 04 02			
პროგრამის გამახორციელებელი		საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსებიდან მიღებული ტრანსფერით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 2021 წელს იგეგმება: უჯარმის საბავშვო ბაღის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები საინჟინრო-მონიტორინგის ჯგუფის მომსახურების გათვალისწინებით. აგრეთვე პროგრამით გათვალისწინებულია სოფელ. გომბორის(10 ბავშვი, ორი გზა 44 კმ), კოჭბანის(12 ბავშვი, ორი გზა 44 კმ), მანავის(12 ბავშვი, ორი გზა 46 კმ) სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებით 2021 წელს გამოყოფილია 20,0 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია რეაბილიტირებული და აშენებული სკოლამდელი დაწესებულებები, კმაყოფილი მოსახლეობა.			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		რეაბილიტირებული და აშენებული სკოლამდელი დაწესებულებები, კმაყოფილი მოსახლეობა	მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებული და აშენებულია სკოლამდელი დაწესებულებები, კმაყოფილია მოსახლეობა	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1.რეაბილიტირებული და აშენებული სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა	2	3	5	0	ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შესრულდა სოფელ უდაბნოში ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის #34 და 35 ოთახების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები და სოფელ დიდი ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეალიზაციის სამუშაოები, ხელშეკრულებები შეწყვეტილია აღებული ვალდებულებების შესრულებლობის გამო; მიმდინარე სამუშაოებია: ყანდაურის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები,

					კაკაბეთის N1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა, წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაფართოების (ორი ოთახის მიშენება) სამუშაოები, ხაშმის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები.
2.კმაყოფილი მოსახლეობა	30%	40%			

ქვეპროგრამის დასახელება	სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება 04 03 01			
ქვეპროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის (6-18წლამდე) ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენას, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად წრეების, კლუბების შექმნის ხელშეწყობას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენების პროგრამების განხორციელებას. პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოსწავლე-ახალგაზრდობში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების გამოვლენას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენას და წახალისებას მუნიციპალიტეტის, რეგიონის, საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით. მოსწავლეთა თვითმმართველობების, სამოქალაქო კლუბებისა და სხვა სამოსწავლო გაერთიანებების მუშაობის ხელშეწყობას და წარმოჩინებას, კომპაქტურად ჩასახლებულ არაქართულენოვანი მოსახლეობის ქართული ენის, კულტურის, ტრადიციებისა და ისტორიის შესწავლას. ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესებას.</p>			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	წარმატებით ჩატარებული ღონისძიებები; ქართული ენის, კულტურის, ტრადიციებისა და ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; ა(ა)იპ - სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალის გაუმჯობესებული სამუშაო პირობები.	მიღწეული შედეგი	წარმატებით ჩატარებული ღონისძიებები; ქართული ენის, კულტურის, ტრადიციებისა და ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; ა(ა)იპ - სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალის	



დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1. პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	250 მოსწავლე, ქართული ენის შემსწავლელ წრეში ქართული ენას შეისწავლის 65 ბავშვი	3850	1200	-69%	კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა ყველა დაგეგმილი ღონისძიების ჩატარება, რის გამოც არ შესრულებულა პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. ღონისძიებები ძირითადად ტარდებოდა ონლაინ
2. ქართული ენის შემსწავლელ ცენტრში მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა	66	66	45	-32%	
2. წარმატებით ჩატარებული ღონისძიებები	140	140	50	-64%	პანდემიის გამო შეჩერებული ღონისძიებები

ქვეპროგრამის დასახელება	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 04 03 02		
ქვეპროგრამის გამახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მასწავლებლის საერთაშორისო დღე; ეტალონის მხარდაჭერა; „ეტალონის“ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლის სტიპენდია; მედალოსნების დაჯილდოება; პროგრამის მიზანია საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსება და გამარჯვებულის წახალისება ფულადი ჯილდოთი; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებითი, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა და ფასიანი საჩუქრით წახალისება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება 1 საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება	მიღწეული შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება 1 საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1.	თანადაფინანსებული პროექტები	2021 წელს გაგრძელდება 2 პროექტის („მასწავლებლის დღის“ და „ეტალონის“) თანადაფინანსება	2021 წელს გაგრძელდა 2 პროექტის („მასწავლებლის დღის“ და „ეტალონის“) თანადაფინანსება	

განათლებაზე გაწეულმა ხარჯმა 2021 წელს შეადგინა 3848,9 ათ. ლარი. მ.შ. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხარჯმა შეადგინა 2360,6 ათ. ლარი. აქედან შრომის ანაზღაურების ხარჯი შეადგენს - 1634,3 ათ. ლარს; საქონელი და მომსახურება - 592,9 ათ. ლარი, მ.შ.კვების ხარჯმა შეადგინა 219,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი - 133,4 ათ. ლარი.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობის ხარჯმა შეადგინა 741,2 ათ. ლარი (მ.შ. 196,4 ათ. ლარი სახ. ბიუჯეტით). აქედან: სოფელ კაკაბეთის N1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა - 134,8 ათ. ლარი (განკ.#2685 31.12.2020, ადგ. ბიუჯეტით - 6,8 ათ. ლარი); სოფ. ყანდაურის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები - 58,0 ათ. ლარი (განკ.#1266 26.07.2021); ქ.საგარეჯოში მესამე საბავშვო ბაღში საქვების გამოტანის სამუშაოები - 10,3 ათ. ლარი (განკ.#1266 26.07.2021) ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა: ქ. საგარეჯოს #2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციის სამუშაოები - 57,2 ათ. ლარი; საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება - 10,3 ათ. ლარი; სოფელ უდაბნოში ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის #34 და 35 ოთახების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები - 12,1 ათ. ლარი; ქ.საგარეჯოს #1, ს.კაკაბეთის #2 და ს.ნინოწმინდის საბავშვო ბაღებში საქვებების გამოტანის სამუშაოები - 37,5 ათ. ლარი; ს.პატარძელის N1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 182,7 ათ. ლარი; ს.გიორგიწმინდის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები - 132,1 ათ. ლარი; ს.მანავის #1 და #2, ბადიურის საბავშვო ბაღებში საქვებების გამოტანის სამუშაოები - 33,6 ათ. ლარი; ს.თოხლიაურში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 11,1 ათ. ლარი; 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება - 17,3 ათ. ლარი; სოფელ დიდი ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 21,3 ათ. ლარი; სოფელ უდაბნოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა - 8,0 ათ. ლარი. ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა სოფლების გომბორის, კოჭბანის და მანავის N1 საბავშვო ბაღის სკოლამდელი აღსაზრდელებისათვის სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების (მძღოლთან ერთად) ხარჯი სულ 14,8 ათ. ლარი.

სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირების ხარჯმა შეადგინა 116,7 ათ. ლარი. მ.შ. ა(ა)იპ სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯი შეადგენს 110,3 ათ. ლარს. აქედან შრომის ანაზღაურება 80,0 ათ. ლარი; საქონელი და მომსახურება 7,8 ათ. ლარი; ხოლო 22,4 ათ. ლარი გახარჯულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობის გათბობის სისტემის მოსაწყობად და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 6,5 ათასი ლარი,

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად გაიხარჯა გეგმიური 783,5 ათ. ლარის 80%, ანუ 630,4 ათ. ლარი. მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ხარჯმა შეადგინა - 617,8 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ხარჯმა - 12,6 ათ. ლარი. აქედან: სოფელ იორმულანლოს საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 30,1 ათ. ლარი (განკ 27 09.01.2020); სოფელ მულანლოს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 57,9 ათ. ლარი (განკ 27 09.01.2020); სოფელ უჯარმის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების (სანიტარული კვანძი) - 42,4 ათ. ლარი (განკ 27 09.01.2020); სოფ.კოჭბაანის საჯარო სკოლის შენობის ნაწილის სარემონტო სამუშაოების (სან კვან) შესრულება - 21,5 ათ. ლარი (განკ 27 09.01.2020); სოფელ მზისგულის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 19,7 ათ. ლარი (განკ 27 09.01.2020); ქ.საგარეჯოს #3 საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების (სანიტარული კვანძი) - 82,1 ათ. ლარი (განკ 27 09.01.2020); დუზაგრამის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების (სანიტარული კვანძი) - 87,4 ათ. ლარი (განკ 27 09.01.2020); ს.მანავის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები - 55,0 ათ. ლარი (განკ 147 04.01.2021); სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა - 221,5 ათ. ლარი (განკ 147 04.01.2021-213,7 ათ.ლარი, განკ 27, 09.01.2020-1,4 ათ.ლარი, განკ 13, 18.01.2019-6,4 ათ.ლარი); ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე სახედამხედველო მომსახურება - 12,6 ათ. ლარი.

### კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულების %
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3819.729	3032.245	79

<b>05 01</b>	<b>სპორტის სფეროს განვითარება</b>	<b>3044.398</b>	<b>2293.648</b>	<b>75</b>
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	817.523	817.510	100
05 01 01 01	ა(ა)იპ - საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა	47.675	47.664	100
05 01 01 02	ა(ა)იპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	423.500	423.498	100
05 01 01 03	ა(ა)იპ რაგბის კლუბი ვეფხვები	228.125	228.125	100
05 01 01 04	შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი	118.223	118.223	100
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	42.105	38.275	91
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2184.770	1437.863	66
<b>05 02</b>	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	<b>693.136</b>	<b>664.690</b>	<b>96</b>
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	575.601	575.399	100
05 02 01 01	ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“	152.901	152.871	100
05 02 01 02	ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება	422.700	422.528	100
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	14.235	0.000	0
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	103.300	89.291	86
<b>05 03</b>	<b>ახალგაზრდობის მზარდაჭერა</b>	<b>47.195</b>	<b>38.918</b>	<b>82</b>
<b>05 04</b>	<b>საგამომცემლო საქმიანობა</b>	<b>35.000</b>	<b>34.989</b>	<b>100</b>

ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ საგარეჯოს #105 კომპ. სასპორტო სკოლა <b>05 01 01 01</b>		
ქვეპროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ საგარეჯოს N105 კომპ. სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტსკოლა მოიცავს ორ საცურაო აუზს, სადაც მთელი წლის განმავლობაში როგორც ბავშვები და მოზარდები ეუფლებიან ცურვის ოსტატობას, აგრეთვე მოყვარულსაც შეუძლიათ ისარგებლონ სპორტსკოლის მომსახურებით. სტრუქტურა მოიცავს დირექციას (რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი და ბუღალტერი), პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოსა. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	საცურაო აუზი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; გაზრდილია სპორტსკოლის (საცურაო აუზი) ღონისძიებებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.	მიღწეული შედეგი	საცურაო აუზი მთელი წლის მანძილზე არ ფუნქციონირებდა შეუფერხებლად; შემცირდა სპორტსკოლის (საცურაო აუზი) ღონისძიებებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა)	
1. სპორტსკოლის (საცურაო აუზი) ღონისძიებებში ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა	553 მოზარდი	2021 წელს მინიმუმ შენარჩუნდება ბავშვების არსებული რაოდენობა	118	-78 %	პანდემიის გამო შეზღუდული საქმიანობა
საცურაო აუზით 2. მოსარგებლეთა რაოდენობა	2761	2800	2058	-27%	

ა(ა)იპ საგარეჯოს N105-ე სასპორტო სკოლა 2020 წელს დაფინანსდა 40,5 ათ. ლარით. აქედან შრომის ანაზღაურება 31,2 ათ. ლარი; საქონელი და მომსახურება 9,3 ათ. ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ხელშეწყობა 05 01 01 02				
ქვეპროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანება				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტულ გაერთიანებაში ფუნქციონირებს 9 სპორტული მიმართულება, ესენია: ძიუდო, სამბო (306 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (15 ბავშვი); ქალთა ჭიდაობა (15 ბავშვი); თავისუფალი ჭიდაობა (32 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (38 ბავშვი); კრივი (20 ბავშვი); ჭადრაკი (40 ბავშვი); მკლავჭიდი (45 ბავშვი) სულ სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 511-მდე ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ - 5 ჯერ. სპორტულ გაერთიანებაში დასაქმებულია ჯამში 60 თანამშრომელი, მათ შორის 21 ტექნიკური და 9 ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელი. სპორტული გაერთიანების აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით და მის გარეთ. ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</li> </ul>				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სპორტული გაერთიანება მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;	მიღწეული შედეგი	სპორტული გაერთიანება მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება		

№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1.სპორტულ გაეთიანებაში არსებული სპორტის სახეობების რაოდენობა	ფუნქციონირებს სპორტის 9 სახეობა	2021 წელს შენარჩუნებული იქნება 9 სპორტის სახეობა	2021 წელს შენარჩუნებულია 9 სპორტის სახეობა	0	
2.ბავშვების რაოდენობა	511-მდე სპორტსმენი	2021 წელს მინიმუმ შენარჩუნდება ბავშვების არსებული რაოდენობა	511 ბავშვი		
3.სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	2020 წელს სპორტული გაეთიანების აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს 15-მდე სპორტულ ღონისძიებაში	2021 წელს სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ არანაკლებ 15 სპორტულ ღონისძიებაში	2 ღონისძიება	-87%	პანდემიის გამო შეზღუდული საქმიანობა
4.სპორტული შეკრებების რაოდენობა	2020 არ ჩატარდა სპორტული შეკრება	2021 წელს ჩატარდება არანაკლებ 10 შეკრება	10 შეკრება		

ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანება დაფინანსდა 360,0 ათ. ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება - 54,2 ათ. ლარი; საქონელი და მომსახურება 301,7 ათ. ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 4,1ათ. ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება	<b>სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა 05 01 01 03</b>
ქვეპროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ რაგბის კლუბი ვეფხვები
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჩვენს კლუბში კი ირიცხება უკვე 150 ბავშვი, სამომავლოდ გვინდა ამ ნიშნულის გაორმაგება, ამისთვის დაგეგმილი გვაქვს სკოლებში ვიზიტები და სხვადასხვა ღონისძიებები. 2021 წლისთვის გვაქვს სურვილი საკუთარი შემოსავლებით შევიძინოთ მიკროავტობუსი, რომელიც მოემსახურება სხვადასხვა სოფლებიდან ბავშვების საგარეჯოში მობილიზებას, აღნიშნული ტრანსპორტით სხვა სპორტის სახეობებსაც მიეცემათ სარგებლობის საშუალება. ბავშვთა გაზრდილ რაოდენობას დასჭირდება კვალიფიციური მწვრთნელები, რაზეც ასევე ვაპირებთ ზრუნვას, რაგბის განვითარების ჯგუფთან ერთად იგეგმება ადგილობრივი მწვრთნელების გადამზადება. ეს ყოველივე გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვცემს საშუალებას დიდი გუნდის შემადგენლობაში ანაზღაურება. და უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სავარჯიშო პირობებით. ქვეპროგრამის მიზანია: -არსებულ მოედანზე მერიის თანადგომით უკვე მოეწყო გასახდლები, ჩვენი სახსრებით 2018 წელს მოეწყო 100 კაციანი ტრიბუნა და ვიდუო გადაღების კომპლქსი, სპონსორების დახმარებით გაკეთდა ტაბლო და განათების სისტემა, მაგრამ ეს სამარისი არაა, მოსაწყობია სადრენაჟე სისტემა და საფარის განახლება საჭირო, პატარძელში თამაშებს ესწრება 700-800 მაყურებელი, შესაბამისად არც ტრიბუნა გვყოფნის. ამ ყველაფრის მოწყობას არც ჩვენი და არც ადგილობრივი ბიუჯეტი არ ეყოფა, ამიტომ ამ პროგრამაში შემოვიფარგლებით მხოლოდ არსებულის მოვლა პატრონობით

		<p>- ჩვენი გუნდი მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში, ჩვენი მიზანია პირველ სამეულში მოხვედრა, ასევე ვმუშაობთ სპორტსმენებისთვის სავარჯიშო და სათამაშო პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობისთვის;</p> <p>- ამ ეტაპზე გუნდში ირიცხება 150 ბავშვი, რომლებიც გადანაწილებული არიან 5 (8-10-12-14-16 წლამდე) ასაკობრივ კატეგორიაში, 8-14 წლამდელები მონაწილეობას იღებენ რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ ბავშვთა სარაგბო ფესტივალებში (წელიწადში 40 ფესტივალი) და 16 წლამდელები საქართველოს ჩემპიონატის ჯაბუკთა ლიგაში. მომავალ წელს იგეგმება მათთვის სავარჯიშო ინვენტარის შექმნა და გასვლით შეხვედრებში კვებით უზრუნველყოფა. დიდ გუნდში 90% პროფესიონალი მორაგბეა. აქედან 20% მოწვეული სპორტსმენია. გვინდა რომ ეს რიცხვი 2022 წლისთვის შეამციროთ 10%-ით.</p>			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი		შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მოთამაშეები დიდი გუნდის რიგებში, ასაკობრივ გუნდებში ბავშვთა რაოდენობის ზრდა, სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება.		მიღწეული შედეგი	შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მოთამაშეები დიდი გუნდის რიგებში, ასაკობრივ გუნდებში ბავშვთა რაოდენობის ზრდა, სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება.
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1.რაგბში ჩართული 6 დან 16 წლამდე ბავშვების რაოდენობა	2%	2.5%	-20%	-22.50%	პანდემიის გამო მოხდა ბავშვების აქტივობის კლება
2.პირველი ლიგის გუნდში ადგილობრივების რაოდენობა	60%	70%	70%	0	
3.კმაყოფილი მოსახლეობა	40%	65%	65%	0%	

ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ვეფხვები“ 2021 დაფინანსდა 228,1 ათ. ლარი; საქონელი და მომსახურება (ძირითადად შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება - 140,5 ათ. ლარი) - 177,6 ათ. ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა 05 01 01 04
ქვეპროგრამის გამახორციელებელი	შ.პ.ს. სავეფხურთო კლუბი გარეჯი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების და მოზარდების დაინტერესებას ფეხბურთით, ვინაიდან 2020 წელს საფეხბურთო კლუბში გაიზარდა სხვადასხვა ასაკის ბავშვების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, საჭიროა მწვრთნელების დამატება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რათა უკეთ მოხდეს ბავშვების დაოსტატება, კარგად აღჭურვილი სპორტული ბაზა ხელს შეუწყობს ბავშვებს მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში, გამოცდილების შეძენით შესაძლებლობა ექნებათ მაღალი შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამის მიზანია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ბავშვებისა და ახალგაზრდების მოზიდვა და ჩაბმა გამაჯანსაღებელ და სპორტულ მეცადინეობებში.				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ძლიერი საფეხბურთო სკოლა, მასობრივად ჩაბმული ბავშვები და ახალგაზრდები გამაჯანსაღებელ და სპორტულ მეცადინეობებში.		მიღწეული შედეგი	ძლიერი საფეხბურთო სკოლა, მასობრივად ჩაბმული ბავშვები და ახალგაზრდები გამაჯანსაღებელ და სპორტულ მეცადინეობებში.	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1. საფეხბურთო სკოლის სხვადასხვა ასაკის აღსაზრდელების რაოდენობა	150	200	200	0	

შპს საფეხბურთო კლუბი „გარეჯი“ -ს დაფინანსებამ 2021 წელს შეადგინა 118,2 ათ. ლარი. მ.შ. შრომის ანაზღაურება - 67,6 ათ. ლარი; საქონელი და მომსახურება - 48,7 ათ. ლარი (შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 43,7 ათ. ლარი)

ქვეპროგრამის დასახელება	<b>სპორტული ღონისძიებები 05 01 02</b>
ქვეპროგრამის გამახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენების და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობენ მოყვარული სპორტსმენები მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. სპორტულ ღონისძიებებში აქტიურად ერთვებიან ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანელები) წარმომადგენლები, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.</p> <p>წლის განმავლობაში, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, სპორტსმენებს უფინანსდებათ გზის და სამივლინებო ხარჯები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე. ყოველწლიურად ტარდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა გუნდები; თამაშების ორგანიზებას და გამარჯვებული სკოლების ტრანსპორტირებას რეგიონულ და რესპუბლიკურ თამაშებზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p>



